ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 117

"3" ოქტომბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ზურა პატარიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის ჯუმბერ ლეჟავას სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის პ/ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6-27 გადაწყვეტილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ისნის რაიონში, ზურა პატარიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ შესახვევს მიენიჭოს ველოსიპედისტის, მსოფლიო რეკორდსმენის, ქ.თბილისის საპატიო მოქალაქის, ჯუმბერ ლეჟავას, სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**


ჯუმბერ ლუცაკის ქუჩა
I ფესტივალი
X_487935.1508
Y_ 4617264.9686
X_487134.5003
Y_ 4617161.3356
X_487442.4319
Y_ 4617108.33
ალ. ყაზბეგი
X_487469.4728
Y_ 4616973.9902